



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
აღმასრულებელი დირექტორი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 46

თ. თბილისი
18/06/2020

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 09 ნოემბრის N119 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 09 ნოემბრის N119 ბრძანების მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.
„3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს: სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.“
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანებას გაეცნოს მასთან დაკავშირებული ყველა პირი და გამოქვეყნდეს დადგენილი წესის მიხედვით.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი